ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N22

29.02.2024
სხდომის ჩატარების
ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი მამუკა რიჟამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
ირაკლი შენგელია, თეიმურაზ ნადირაძე, მაგდა კოსტავა, მერაბ ჭოხონელიძე, ანა კოხრეიძე, დიმიტრი მხეიძე, მანანა ჩიხლაძე, მიხეილ გიორგაძე, ნინო ბიბილეიშვილი.

სულ 9 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:
ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის ხელმძღვანელი თამთა ბაკურაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლიკა ჩახუნაშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა რიჟამაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:
ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის ხელმძღვანელის თამთა ბაკურაძის ანგარიშის მოსმენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის ხელმძღვანელმა თამთა ბაკურაძემ

ა(ა)იპ ქ.უთაისის მადლიერების სახლი ფუნქციონირებს 2012 წლის 1 თებერვლიდან. მისი მთავარი დანიშნულებაა ქალაქში მცხოვრები ზედმიწევნით გაჭირვებული მოქალაქეების სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1,066,000 ლარს. 12 თვეში დახარჯულია 951 685, 52 ლარი, აქედან კვების პროდუქტების შესაძენად კი დახარჯულია 584 754,38 ლარი. ერთი ბენეფიციარზე კვების ღირებულება შეადგენს 2,15 ლარს.

ა(ა)იპ „ქ.უთაისის მადლიერების სახლში" ფუნქციონირებს უფასო კვების სასადილო, სადაც იკვებება 750 ბენეფიციარი. აქედან 510 ბენეფიციარი სადილობს დუმბაძის ქ.ზე არსებულ სასადილოში, ხოლო 240 ბენეფიციარი ა/მშენებლის ქ. მდებარე სასადილოში.

მადლიერების სახლში მოქმედებს ბინაზე მიტანის სერვისი,რომელიც ემსახურება გადაადგილება შეზღუდულ ბენეფიციარებს.

2023 წლის მე-2 კვარტალში შევიძინეთ ახალი , ფურგონიანი ავტომანქანა რენო ექსპრეს ვენი, სადილის მიტანის სერვისის გასაუმჯობესებლად.

ვმუშაობთ HACCP-ის სისტემისა და ბენეფიციართა გამოცხადების ელექტრონული აღრიცხვის სისტემის დანერგვაზე.

თეიმურაზ ნადირაძე: როდეს ქულა უჩერდებათ მაშინ თუ იღებენ საკვებს?

თამთა ბაკურაძე: კი, იღებენ მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით.

ირაკლი შენგელია: თანხა, რომ დაემატოს რა საკვების დამატება არის საჭირო?

თამთა ბაკურაძე: თანხის დამატების შემთხვევაში შესადგენია ახალი მენიუ და დასათვლელია კალორაჟი.

მამუკა რიჟამაძე: რამდენი მანქანა ემსახურება სამხლში მიტანის სერვისს?
თამთა ბაკურაძე: ერთი მანქანა.
თეიმურაზ ნადირაძე: სულ რამდენ მოქალაქეს ემსახურებით?
თამთა ბაკურაძე: 750 ადამიანს

კომისიის წევრებმა ერთხმად მოიწონეს საკითხი, წარმოდგენილი რედაქციით.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯადაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

მამუკა რიჟამაძე